ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 15 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 38 (19480) ◆ ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ, 14 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 1986 Წ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲢᲔᲛᲞᲘ

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ სამეურნეო წლის პირველი შედეგების შეჯამების პერიოდიც დადგა. რას მივაღწიეთ იანვარში, როგორი იყო ამ თვეში მუშაობის ტემპი? სწრაფი.

პროდუქციის გამოშვების გეგმა მრეწველობაში საგრძნობი გადაჭარბებით შესრულდა და გათვალისწინებულზე 24,6 მილიონი მანეთით მეტი ნოყიერებანი დამზადდა. აღსანიშნავია, რომ ზეგეგმითი პროდუქციის აბსოლუტურად დიდი ნაწილი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული მრეწველობის წილად მოდის.

დიდი გადაჭარბებით შესრულა რესპუბლიკის მრეწველობამ პროდუქციის რეალიზაციის დავალებაც. მომხმარებელს 37,4 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია გაეგზავნა. ამ მხრივ აშენებლობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროები, აგრეთვე რუსთავის „აზოტის“ საწარმოო გაერთიანება, ჯერის საცდელი სპეციალიზებული, სოსუმის გაზის აპარატურის, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნები რომ არ ჩამორჩენილიყვნენ, რეალიზაციის მაჩვენებელი უფრო დამაჯერებელი იქნებოდა.

შარშანდელ შესაბამის პერიოდთან და, საერთოდ, გასულ წელთან შედარებით შესამჩნევად უკეთესი შედეგია მოპოვებული პროდუქციის ვალდებულებით მიწოდების დავალების შესრულების მიმართულებითაც, მაგრამ დასაშვებელი ჯერ მაინც არაფერი ვვაქვს. საქმე ის არის, რომ სახელშეკრულებო დისციპლინა ვერ დაიცვა ყოველმა მეცხრე საწარმომ (ოუმცა შარშან ასეთ მდგომარეობაში გაცილებით მეტი — ყოველი მეექვსე საწარმო იყო). მომხმარებელმა ვერ მიიღო 8,1 მილიონი მანეთის ნაწარმი. დაადალატეს შემკვეთები ივანე რუსთაველის „აზოტისა“ და „ელექტროაპარატის“, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, საწარმოო გაერთიანებებმა, ფოთის ელექტრომანქანათა გამაძლიერებლების, ქუთაისის ლითოფონის ქარხნებმა.

მიმდინარე წლის წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა მრეწველობაში გეგმით 104,2 პროცენტი უნდა შეადგინოს. იანვარში ამ მაჩვენებელმა 105,1 პროცენტს მიაღწია. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით სადღეღამისო წარმოება 5,1 პროცენტით გაიზარდა. ერთი შეხედვით, თითქოს, კარგი მდგომარეობაა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. ამ საერთო კარგ მაჩვენებელს ამოფარებულია 219 ჩამორჩენილი საწარმო. ამავე პერიოდთან შედარებით მათ შეამცირეს წარმოების მოცულობა. 210-ს აქედან ასეთი შემცირება სახელმწიფო გეგმით ჰქონდა გათვალისწინებული.

საერთო წარმატება მიღწეულია იმ სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების ხარჯზე, რომლებმაც დიდად გადაჭარბეს წარმოების მოცულობის ზრდის ფაქტობრივ მაჩვენებელს. მათ შორის გახლავთ საავტომობილო გზებისა და „საქმთავრენერგოს“ სამმართველო, კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროთასამმართველო, რუსთავის „ქიმმოჟკოს“, „საქპოლიმერკონტეინერის“, „კაკასტრანსფორმატორის“, „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებები, მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატი, ბათუმის ელექტრომექანიკური და ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნები. სასიამოვნოა, რომ საგრძნობი წარმატებები აქვთ ამ მხრივ რესპუბლიკის მრეწველობის ამინდის შემქმნელ ისეთ დიდ ობიექტებს, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და ბათუმის ნავთობგადასამუშაველი ქარხანა, „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანება და მთელი რიგი სხვა საწარმოები. ახლა ამოცანა ის არის, რომ არ დავუშვათ თებერვალში, პირველ კვარტალში და შემდგომ პერიოდში იანვარში მოპოვებული პოზიციები.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე აღინიშნა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების უზნაესი მიზანი შრომის ნაყოფიერების უმაღლესი მსოფლიო დონის მიღწევაა. ეს აზრი განდევს წითელ ზოლად ყრილობისწინა დოკუმენტებშაც. იანვარში ამ მხრივ მიღწეული საერთო შედეგი ურიგო როდია. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა და სოციალისტური ვალდებულებაც. ამ გზით მიღებულია წარმოების მთელი მატების 84,3 პროცენტი. ამასთან, შრომის ნაყოფიერების დონე იანვარში 257 საწარმომ შეამცირა და ეს ხდება მეთორმეტე ხუთწლედში, ქვეყნისა და, კერძოდ, რესპუბლიკის ეკონომიკის თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანის საწყის პერიოდში! „საქნავთობის“ საწარმოო გაერთიანების მიერ ამ მაჩვენებლის შემცირების მიზეზი ასე თუ ისე, ცნობილია, მაგრამ რა დაემართა იანვარში ზესტაფონის „საქაბელის“ ქარხანას, რომლის კოლექტივის ხოტბის შესასხმელადაც შარშან არც ერთი ეპითეტი არ დაგვიშურებია? ასეთივე შეკითხვით მივმართავთ თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების, თბილისის საზეინკლო-სამონტაჟო და ნნორის მექანიკური ქარხნების, სხვა ყველა იმ საწარმოთა ხელმძღვანელებს, რომლებმაც შეამცირეს შრომის ნაყოფიერება, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია ელის მათ პასუხს.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დადგენილებაში ნათქვამია, რომ შრომითი კოლექტივების მეცადინეობა მოვახმაროთ წარმოების ინტენსიფიკაციის დაჩქარებას, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ მოქმედ საწარმოებში პროდუქციის მოცულობის ზრდის მიღწევას დამატებითი შრომითი რესურსების გამოუყენებლად.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი რომ ნაკეთობათა ტექნიკური დონის ამაღლება და, საერთოდ, პროდუქციის ხარისხის ყოველმხრივი გაუმჯობესებაა, ყველამ იცის. დროის უმკაცრესი მოთხოვნაა დავამზადოთ მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი კატეგორიის ისეთი ნაწარმი, რომელიც კონკურენციას გაუწევს სამამულო და მსოფლიო წარმოების საუკეთესო ნიმუშებს, სხვანაირად დღეს აღარ შეიძლება.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ იანვარში? საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული პროდუქციის ხვედრითმა წილმა წარმოების მთლიან მოცულობაში 12 პროცენტი შეადგინა, რაც სჭარბობს როგორც გეგმას, ისე შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. ეს კარგია, მაგრამ სამწუხაროა, რომ ადგილობრივი მრეწველობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის მრავალმა საწარმომ, აგრეთვე „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებამ, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებამ, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო და ნნორის მექანიკურმა ქარხნებმა შეამცირეს სახელმწიფო ხარისხის ნიშნით აღნიშნული პროდუქციის რაოდენობა.

არადა, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დადგენილებაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ პარტიულმა კომიტეტებმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა განახორციელონ რადიკალური ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში პროდუქციის ხარისხი, ამასთან უპირველესი ყურადღება მიაქცონ იმას, რომ უკვე 1986 წელს შესრულდეს გადაჭარბებით უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების გადიდების, მასალების, მანქანების, მოწყობილობის, ახალ სახეობათა მასობრივი მოთხოვნის საქონლის ათვისებისა და ძველი თვისებრივი მახასიათებლების გაუმჯობესების საგეგმო დავალებანი.

გარკვეულ მიღწევებთან ერთად რესპუბლიკის მრავალმა სამრეწველო საწარმომ ვერ უზრუნველყო პროდუქციის თვითღირებულების 0,5 პროცენტით შემცირების დავალების შესრულება, ყველა ერთნაირი მონდომებით არ იბრძვის მოქმედებისათვის, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვისათვის.

მაშ ასე, მიმდინარე წლის პირველი თვის ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლები იმედის მომცემია. ახლა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჭიროა შევინარჩუნოთ მუშაობის სწრაფი ტემპი, ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXVII ყრილობას.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ საზღვაო სანაოსნოს ახალი ტანკერი, რომელიც ცნობილი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის სახელს ატარებს, ტუაფსეს ნავსადგურში ნავთობით დაიტვირთა და კურსი ინდოეთისაკენ აიღო. ეკიპაჟმა პირველი რეისი წარმატებით დაამთავრა. შუა იანვარში ინდოეთის ერთ-ერთ ნავსადგურში ჩაუშვა ღუზა.

ახლახან საბაზო ნავსადგურში ინდოეთიდან რადიოგრამა მოვიდა. გემის კაპიტანი რ. ახობაძე და კაპიტნის პირველი თანაშემწე ვ. დუმბაძე იტყობინებიან, რომ ეკიპაჟმა შორეული პირველი რეისი წარმატებით დაამთავრა. ხომალდი ისევ დაიტვირთა და კურსი მცირე აზიისაკენ აიღო. იქიდან კი გამოემგზავრება ევროპაში. ამ რეისებს ეკიპაჟი სკკპ XXVII ყრილობას უძღვნის (საკ. კორ.).

ᲒᲝᲠᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს, — საკონსერვო ქარხნის მშრომელები ორგანიზებულად ემზადებიან კომუნისტური შაბათობისათვის.

ამ დღეს სამუშაოდ 1100 კაცი გამოვა. გამოშვებული იქნება 25 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია. მომხმარებელს ამ დღეს 160 ათას პირობით ქილა კონსერვს გაუგზავნიან. ხუთწლედის ფონდში 3150 მანეთი გადაირიცხება.

ქარხნის ასეპტიკური წვენების საამქროს მშრომელებმა გადაწყვიტეს 15 თებერვალს ორი თვის საწარმოო დავალება შეასრულონ.

(საკ. კორ.).

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ოსეთში გაჩაღებულია მზადება სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. ზამთრის ხელსაყრელ პირობებში ამინდებს კარგად იყენებენ მებაღე-მევენახეები. სწორდება წინა წლებში დაშვებული შეცდომები, როცა ყურადღება შეანელეს ვაზისადმი. სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით კვლავ აღდგება ვენახები.

ახალ ხუთწლედში ოლქის ზვრები 550 ჰექტარით გაიზრდება. ამ საქმეს უკვე გულმოდგინედ შეუდგნენ. განსაკუთრებით აქტიურობენ ცხინვალის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების მევენახეები. იანვრის პირველ დეკადაში მათ ორ ათეულ ჰექტარზე გააშენეს ახალი ზვრები. თავი გამოიჩინეს ძარნემისა და კეხვის კოლმეურნეებმა. ძარნემელებმა ოთხ ჰექტარზე ჩაყარეს ნამყენი ჯიშის ვაზი, კეხველებმა კი ხუთ ჰექტარზე. აქ ძირითადად მწვანე გააშენეს. ამ მიწებზე ეს ჯიში უნდ და სურნელოვან სუშმანსაც ღვინოს იძლევა (საკ. კორ.).

ᲥᲐᲠᲔᲚᲘ

15 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ დირბის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები ერთსულოვნად გამოვლენ ხილს ბაღებში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად.

კომუნისტურ შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს მეურნეობის 300 მშრომელი. ამ დღეს გასხლავენ და დაბარავენ ზვრებსა და ხილის ბაღებს, ფართობებში შეიტანენ მინერალურ და ორგანულ სასუქებს.

ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 1.000 მანეთი.

(საკ. კორ.).

ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲔᲗ ᲡᲙᲙᲞ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ!

ᲡᲙᲙᲞ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ

„**ᲡᲐᲥᲐᲠᲐᲛᲐᲓᲜᲔᲣᲚᲘᲡ**“ საწარმოო გაერთიანების ზეინკალი გუნდუზ აივაზოვი უველაზე ახალგაზრდაა, მაგრამ თავის საქმეში ტოლი არა ჰყავს.

„საქარამადნეულის“ გაერთიანებაში იგი მოუყვანია მამას, კომუნისტს, დიდი სამამულო ომის ვეტერანს, რომელსაც აქ მრავალი წელი ქვის მთლელად უმუშავია. უმაწვილს ზეინკლის პროფესია მოსწონებია და გულმოდგინედ შეუსწავლია. დოსტატებულა და ახლა თვითონ ასწავლის ახალბედებს მუშაკაცისათვის ამ საპრესტიჟო საქმეს.

რესპუბლიკის კომპარტიის XXVII ყრილობაზე მარნეულის საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეულის“ ზეინკალი გუნდუზ ტაგი ოღლი აივაზოვი აირჩიეს სკკპ XXVII ყრილობის დელეგატად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: გუნდუზ ტაგი ოღლი აივაზოვი; სამუშაოსგან თავისუფალ დროს გუნდუზ აივაზოვი მეცადინეობს მარქხის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. იგი აზერბაიჯანის სახალხო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტია.

შ. აივაზოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ᲞᲐᲠᲢᲘᲐ საბჭოთა ხალხის მებრძოლი და ნაყადი ავანგარდი, ჩვენი საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემის წამყვანი ძალა და ბირთვი. „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც თავისი კლასობრივი არსით, იდეოლოგიით, მუშათა კლასის პარტიად რჩება, მთელი ხალხის პარტია გახდა“, — ნათქვამია სკკპ წესდების პროექტში შემოთავაზებული ცვლილებებითურთ. ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი არჩევითი ორგანოების შემადგენლობაში, ცენტრალური კომიტეტის ბიუროთი დაწყებული და საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბიუროებით დამთავრებული, არჩეული არიან მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის მოწინავე წარმომადგენლები. ისინი უძღვებიან სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეებს, მონაწილეობენ სხვადასხვა საკითხის განხილვაში, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარებას, ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში მისი წვლილის ზრდას, განსაზღვრავენ გზებს, თუ როგორ გაძლიერონ პარტიული გავლენა შრომითი კოლექტივების ცხოვრების ყველა მხარეზე. თითოეული კომუნისტის პირადი პასუხისმგებლობა საუკეთესო საბოლოო შედეგების მისაღწევად, გაუმჯობესონ ადამიანთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდა.

12 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი შეხვდა და ესაუბრა მოწინავე მუშებისა და კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენელთა სემინარის მსმენელებს — პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროების წევრებს.

გულახდილ, საქმიან, წრფელ ვითარებაში გააშუქეს იმ ორგანოების პარტიული, სამეურნეო-ეკონომიკური მუშაობის საკითხები, რომლებსაც წარმომადგენლობენ სემინარის მსმენელები, განიხილეს სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის კოლექტივების დარაზმვის ღონისძიებანი.

აღინიშნა, რომ პარტიის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანების წარმატებული გადაწყვეტა თითოეული კომუნისტისგან, წარმოების მუშაკისგან მოითხოვს, უწინარეს ყოვლისა, აქტიურად ეძიონ ნოვატორული მიდგომა, რეალისტურად შეფასონ საქმის მდგომარეობა, გამოიჩინონ მაქსიმალური ინიციატივა და მოქალაქეობრივი გამბედაობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ გეზს, რომელიც ზუსტად არის მონიშნული 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების მასალებში, საყრილობო დოკუმენტების პროექტებში, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში, განუყოფლად უჭერენ მხარს რესპუბლიკის მშრომელები.

ნოვატორობის სულისკვეთება, დასაბუთებული კრიტიკა და თვითკრიტიკა — აი, რა არის ბევრი პარტიული ორგანიზაციის ახლანდელი საქმიანობის დამახასიათებელი თვისება, საბჭოთა ხალხის ცხოვრების პასუხსაგები ყრილობისწინა პერიოდის შთამაგონებელი ნიშანი.

მაგრამ, აღინიშნა შეხვედრაზე გამართული საუბრების დროს, ზოგან ეს გარდაქმნა ყოვნდება, თითქოს მათ არც შეხებოდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებანი. განა შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ, რომ ცალკეული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები, მათ შორის, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროების წევრები აყოვნებენ საქმიანობის გარდაქმნას, ვერ შელევიან ძველებურად მუშაობას, ურიგდებიან გულგრილობას, პასიურობას, არ ეხმაურებიან კრიტიკულ სიგნალებს, შეჩვეული არიან მუშაობის ნაკლოვანებებს? — იკითხეს შეხვედრაზე, და იქვე გასცეს ნათელი პასუხი: ახალი, გაცილებით უფრო რთული ამოცანების დაყენება და გადაწყვეტა მოითხოვს დაძლეოთ ინერცია, დავამკვიდროთ სრულიად სხვაგვარი პოლიტიკური და ეკონომიკური აზროვნება, ვეძებოთ მართვის ეფექტიანი ფორმები, გამოვიჩინოთ თაოსნობა, გამბედაობა, ზოგჯერ კი გარკვეული რისკიც.

აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული არა მარტო იმაზე, თუ ვინ უძღვება ქალაქის, თუ რაიონის პარტიულ ხელმძღვანელობას, არამედ, აგრეთვე ბიუროს წევრებზეც — მუშათა კლასის, აგროსამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლებზე, იმიტომ რომ, ისინი უფრო ახლოს არიან ადამიანებთან, უკეთ იცნობენ ოლქში, ქალაქში, რაიონში, თითოეულ შრომით კოლექტივში, საწარმოო უბანზე არსებულ ვითარებას. და რაკი ბიუროს წევრად აგირჩიეს, მაშ, კეთილინებე და გაამართლე ეს დიდი ნდობა, თქვი შენი სიტყვა!

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, მარტო იმ მიზეზით, რომ ბიუროს ცალკეული წევრები არ ადგანან პრინციპულ პოზიციას, დუმილს ამჯობინებდნენ სხდომებზე, შეამცირეს მომთხოვნელობა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენებისათვის, გუობობდნენ სახელგატეხილი ხელმძღვანელის წყენინებას, რესპუბლიკაში უკანასკნელ ხანს გაიზარდა ქრთამის ამღებთა და ქრთამის მიმცემთა, სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა, კარიერისტთა, პარტიული ლიკვიდაციის და მართლწესრიგის დამრღვევთა, იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ბორტაგდ იყენებენ სამსახურებრივ მდგომარეობას, პირად ინტერესებს ანაცვალებენ სახელმწიფოებრივს. სწორედ ასეთმა ვაი-ხელმძღვანელებმა მოიკალთეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში. — სწორედ ისინი მოქმედებდნენ სიღნაღის, თელავის, მახარაძის, თიანეთისა და ზოგიერთ სხვა პარტიულ ორგანიზაციაში, მთელ რიგ საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოებში. კულტურის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებში. ახლა ყოფილი ხელმძღვანელები ს. ხაბეიშვილი, ნ. ბუნიკაური, ო. თენეიშვილი და თ. ბაღოდარაშვილი დაპატიმრებული არიან, გაირიცხნენ პარტიიდან, მათი საქმეები გადაეცა საგამოძიებო ორგანოებს და, ეჭვი არ არის, რომ გასინაჯური საამქროს ქარხნის მუშა მ. მ. ბეროშვილი, ორჯონიკიძის რაიონის ბაზალეთის კოლმეურნეობის ბრიგადირი დ. ვ. ვალაშვილი, ქუთაისის მოტობლოკების ქარხნის მოარავი შ. ვ. მგალობლიშვილი, მახარაძის რაიონის ლიხაურის კოლმეურნეობის მეჩაიე, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ზ. კ. ურუშაძე, თიანეთის სატყეო მეურნეობის მექანიზატორი ტ. მ. ბიჩინაშვილი და სხვები, რომლებმაც პრინციპულად შეაფასეს მომხდარი ამბები, განაცხადეს, რომ მზად არიან პარტიულ კომიტეტებთან ერთად ყველაფერი იღონონ იმ რაიონების მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გასაჯანსაღებლად, რომლებსაც ისინი წარმომადგენლობენ.

აღინიშნა, რომ მასებს, მოწყვეტა, მუშტრული სულისკვეთება, სულიერი სიმწირე, ლოთობა, ნარკომანია, სოციალისტური კანონიერების დარღვევა, უშრომველი შემოსავლისადმი სწრაფვა, დასავლური მასობრივი კულტურის სუროგატებით გატაცება გარკვეულ პასუხისმგებელ მუშაკთა, მათი ოჯახის წევრთა და უფროსეს ყოველისა მათ შვილებს შორის მოწმობს, რომ სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები გვქონია აღმზრდელობით მუშაობაში, კომუნისტური მორალის დამკვიდრების საქმეში.

რა თქმა უნდა, ამ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლა არ არის იოლი საქმე. იგი მოითხოვს დიდ და სისტემატურ ძალისხმევას, ახლებურ მიდგომას, მეტ კონკრეტულობას. ეს არის მისი სირთულე, მაგრამ უამისოდ ნურც გვეწყინება წარმატების იმედი.

ყოველდღიური ცხოვრება საკვებით ადასტურებს ერთ ჭეშმარიტებას: პარტიას ძლიერებას მატებს მასების შეგნება, იგი სულ უფრო მტკიცდება, როდესაც თავისი რიგებიდან იშორებს უკადრის წევრებს, იმათ, ვინც ჩირქს სცხებს პარტიის წევრის წოდებას, სახელს უტეხს მას ხალხის თვალში და თვითონ ანტიპოდად იქცევა.

დღეს განსაკუთრებით დიდია მომთხოვნელობა ხელმძღვანელების, პარტიული ორგანიზაციების ბიუროთა წევრებისადმი. უწინდებური მუშაობა ახლა აღარას გვარგებს. იმისათვის, რომ არ ჩამოვრჩეთ ახალი ამოცანების დონეს, საჭიროა გარდავიქმნათ, გაუხვიანდეს ეკონომიკის განვითარების ახლებური ხარისხი, ახალ დონეზე ავიყვანოთ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ავამაღლოთ ადამიანთა კეთილდღეობის დონე. ეს ამოცანები, ხუთწლედის გეგმები ჩვენ ხელგვეწიფება, და ისინი უცილობლად უნდა შევასრულოთ. საჭიროა ოღონდ, რომ ყოველმა ხელმძღვანელმა, თითოეულმა ბიუროს წევრმა, კომუნისტმა თავის საშუშაოს შეხედოს პარტიული პოზიციებიდან: ვუძღვები თუ არა ჯეროვნად დაკისრებულ საქმეს? ვწყვეტ თუ არა ყველა საკითხს დიდი პასუხისმგებლობით, სახელმწიფოებრივი მიდგომით, ისე, როგორც პარტიის ხელმძღვანელ ორგანოში არჩეულ კომუნისტს შეშვენის?

შეხვედრაზე ამხანაგ ჯ. ი. პატიაშვილს დაუსვეს შეკითხვები სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების, ყოფის, კულტურის, მომსახურების სფეროს, უმაღლეს სასწავლებლებში მიღების სხვადასხვა პრობლემებთან დაკავშირებით. სემინარის მსმენელებმა ამ კითხვებზე ამომწურავი პასუხი მიიღეს.

შეხვედრაზე მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ვ. ი. ალავიძე. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲛᲣᲓᲐᲛ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

ᲥᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐᲖᲔ!

● **ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ** მაგისტრალის თბილისის განყოფილების რკინიგზელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოსკოველთა და ლენინგრადელთა მოწოდებას კომუნისტური შაბათობის მოწყობის შესახებ და პირობა დადეს 15 თებერვალს იმუშაონ დახოგილი ნედლეულით, ელექტროენერგიით, იმრომონ ჩვეულებრივზე კიდევ უფრო ნაყოფიერად. შრომითს მეტოქეობაში სამაგალითონი არიან მემანქანეები — საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ბ. ხაჩიძე და დიდი სამამულო ომის მონაწილე, ორი ორდენის კავალერი ჰ. კუპრეიშვილი. მათ შორის დღესასწაულისათვის მზადების დღეებში უკვე დანიშნულების ადგილზე ჩაიყვანეს ხუთი დიდტვირთიანი შემადგენლობა და დაწესებული წონითი ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 20.600 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, ამასთან დაზოგეს დაპირებულზე 1,7-ჯერ მეტი ელექტროენერგია და საპოხი მასალა, ხოლო გამომუშავებული ფული გადარიცხეს მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში.

თბილისის საკვანძო, ხაშურის საუბნო სადგურების, თბილისის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზებული დისტანციის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს ხუთწლედის ფონდში გადარიცხონ ხუთი ათას მანეთზე მეტი.

● **ᲥᲐᲚᲐᲥᲘ** მარნეულის მშრომელები გულმოდგინედ ემზადებიან სკკპ XXVII ყრილობისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობისათვის. ქალაქის ერთ-ერთ დიდ საწარმოში — პოტაროდუქტების კომბინატში ყველა ერთსულოვნად გამოეხმაურა კომბინირებული საამქროს ოსტატის ე. ახმედოვის მოწოდებას შაბათობის დღე აღინიშნონ დიდმაყოფიერი შრომით. 15 თებერვალს [illegible] ქალაქის საწარმოების [illegible] ებს კისრულობენ, ეძებენ აუმოქმედელი რეზერვების გამოყენების შესაძლებლობას. №12 სახლთსამშენებელი კომბინატის ვ. ხრისტოფოროვის მებეტონეთა ბრიგადამ გადაწყვიტა შაბათობის დღეს მხოლოდ დახოგილი მასალებითა და ელექტროენერგიით იმუშაოს.

მთლიანად შრომის დღესასწაულში 10500 მშრომელი მიიღებს მონაწილეობას. აკედან 7850 თავის სამუშაო ადგილზე იქნება დასაქმებული. 630 კაცი დახოგილი მასალებითა და რესურსებით იმუშავებს.

ქალაქის მრეწველობა 900 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს, ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 120 ათასი მანეთი. შესრულდება 70 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, შეგროვდება 38 ტონა ჯართი.

● **ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲐᲜᲘ.** მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი მზად არის კომუნისტური შაბათობისათვის, განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაოები. შაბათობის დღეს მინდვრებში, ბოსტნებსა და მეცხოველეობის ფერმებში სამუშაო ადგილზე დადგება 350 კაცი. დიდი ჯაფაც იმუშავებს აგრეთვე სარძეო-სასაქონლო ფერმის, მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტერიტორიის კეთილმოწყობაზე, სოფლის გზების შეკეთებასა და დასუფთავებაზე. გამომუშავებული თანხიდან მეურნეობის მებოსტნეები მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში შეიტანენ 700 მანეთს.

გამარჯვების მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის გადაწყვეტილება ასეთია: ამ დღეს გასხლავენ 4 ჰექტარ ვენახს და ხეხილის ნარგავებს, შპალერს შეაკეთებენ 8 ჰექტარზე, გადაამწკვნენ 1000 ძირ ვაზს, ანასხლავს გამოიტანენ 7 ჰექტარიდან, დაბარავენ 5 ჰექტარ ვენახს; ფერმის მუშაკები გადაჭარბებით შეასრულებენ წვეულებადობის დავალებას, მებოსტნეები მუყაითად იშრომებენ ქალსათბურების გამართვაზე.

დიდი ვალდებულება იკისრეს აგრეთვე გარდაბნელმა მეკონსერვეებმა. შაბათობაზე გამოვა 200-მდე მუშა-მოსამსახურე, რომლებიც მომხმარებელთან გასაგზავნად შეფუთავენ და გამზადებენ 50 ათას პირობით ქილა კონსერვს, დატვირთავენ და გასტვირთავენ 4 რკინიგზის ვაგონს. მთლიანად შეასრულებენ 10 ათასი მანეთის სამუშაოს და ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ 800 მანეთს.

(საკ. კორ.).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡᲗᲐᲜ

**Გ

განწმენდა

გულახდილი საუბარი

საყრილობო დოკუმენტების განხილვის დროს ჩემს ხელში გაიარა მკითხველთა ათასობით წერილმა და ბევრ მათგანში ეკონომიკური და სოციალური გაზვითარების დასაჩქარებლად პარტიის კურსის გულწრფელი და გულმხურვალე მოწონების სიტყვებთან ერთად იგრძნობა მოელვარებაც: გვეყოფა თუ არა ძალა, გამბედაობა ჩვენ ყველას, რომ განვაგრძოთ წარმატებით დაწყებული საქმე და ბოლომდე მივიყვანთ იგი?

დიახ, ჩვენი ცხოვრების გარდაქმნა სრულიადაც არ არის იოლი საქმე. გზა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა მოიწონა, ნარეკლიანია, ციცაბოა და იოლად სასიარულო არ არის. აქ საჭიროა მთელი პარტიის, მთელი ხალხის გულმოდგინე და ყოველდღიური მუშაობა. აქ გზას ყველობაევ და კიდევ დიდხანს გადაგვიღობავენ რეტროგრადები და მოლაქლაქენი, ბიუროკრატები და მექრთამეები, ისინი სიტყვით ეთანხმებიან პარტიის გადაწყვეტილებებს, მაგრამ საქმით ეშინიათ ცვლილებებისა, და ამიტომ ყოველნაირად ცდილობენ შეაყოვნონ ჩვენი წინსვლა.

ადამიანები ხედავენ და კარგად ესმით ეს. სწორედ ამიტომ გვწერენ, რომ არ უნდა შეეანელოთ ბრძოლა ჩვენთვის უცხო მოვლენების წინააღმდეგ, საყოველთაოდ დავიცვათ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები და პარტიელის სპეტაკი ზნეობრივი სახე.

„საბოლოოდ უნდა მოვიშოროთ ისინი, ვინც ყოირსი ქცევით ჩირქი მოსცხო კომუნისტის ღირსებას, — წერს ა. ნიაზოვი უზბეკეთის სხვა ჯიზაყის ოლქიდან. — ჩვენში დღემდე ზიზღით იხსენიებენ ორ „გამოჩენილ მოღვაწეს“ — პარტიის აირასიას რაიკომის პირველ მდივანს მ. ნიშანოვს და საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ნ. ურალოვს. ისინი მრავალი წლის მანძილზე აფათურებდნენ ხელს სახელმწიფო ჯიბეში, ხელმძღვანელ თანამდებობებზე ნიშნავდნენ თავიანთ თანასოფლელებსა თუ ნათესავებს, ერთი სიტყვით, იქცეოდნენ არა როგორც საბჭოთა ხელმძღვანელები, კომუნისტები, არამედ როგორც ძველი დროის აღები. საოლქო კომიტეტში მიდიოდა წერილები და საჩივრები, მაგრამ პრინციპული დასკვნები არ ჩანდა. და გათავხედებული ჩინოვნიკები მხოლოდ მაშინ მოხსნეს პოსტებიდან, როცა ნიშანოვისა და ურალოვის „საქმე“ ფართოდ გახმაურდა. მაგრამ რატომ ადრევე არა ქნეს ესე?“.

ამასვე გვწერს სვერდლოვსკელი ვ. კუზოვლევი: „როცა გაზეთებიდან შევიტყვე, რომ კავკასიაში მილიციის განყოფილების პარტიული ორგანიზაციის მდივანი ბრაკონიერთა ბანდის წევრი აღმოჩნდა, რომ მოსკოვის ოლქის დომოდედოვოში რესტორნის პარტორგანიზაციის მდივანი ხელქვეითებისგან ქრთამებს იღებდა, ხოლო პარტიის როსტოვის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგე ძღვენის მიღებას არ თაკილობდა, გუნებაში იმდენად ამ თაღლითების წინააღმდეგ„ არ აღვშფოთებულვარ, რამდენადაც იმათ წინააღმდეგ, ვინც ეს „ცუნები პარტიაში მიიღო, მაღალ პოსტებზე აკურთხა ეს საქმოსნები და ჭურდები, მფარველობდა მათ და თავი ისე ეჭირა, თითქოს ყველაფერი „ნორმალურად“ მიმდინარეობდა“.

„მე უპარტიო ვარ, — გვწერს ყურსკიდან ზეინკალი ო. ზელენცოვი, — „პრავდას“ ომის წლებიდან ვკითხულობ. პირველად კი 1962 წელს გამოვიწერე. მაშინ გაზეთმა გამოაქვეყნა ლენინის წერილი, რომელმაც ძალზე ამაღელვა. ვლადიმერ ილიას ძე აღმფოთებული აკრიტიკებდა პარტიის მოსკოვის კომიტეტს, რომელმაც 1922 წლის გაზაფხულზე სცადა მფარველობა გაეწია ხელმძღვანელებისათვის, რომლებმაც ბოროტად გამოიყენეს თავიანთი მდგომარეობა ბინების განაწილების დროს. ლენინმა ეს შეაფასა, როგორც ფაქტობრივი ხელშეწყობა „ბოროტმოქმედ-კომუნისტებისათვის“ და საგანგებოდ აღნიშნა, რომ „სასამართლოებმა კომუნისტები უფრო **მკაცრად** უნდა დასაჯონ, ვიდრე არაკომუნისტები“, თანაც განრისხებულმა დასძინა: „ამაზე დიდი სირცხვილი და სისაძაგლე რა უნდა იყოს: ხელისუფლების სათავეში მყოფი პარტია „თავის“ არამზადებს იცავს!“. სიხარულით ვხედავ, რომ ახლა „არამზადები“ შევიწროებულად გრძნობენ თავს ჩვენს ცხოვრებაში. პარტია სხვაოდენ ამხილებს იმათ, ვინც პატიოსნება და სინდისი დაიივწყა, ვინც არღვევს ლენინურ მცნებებს. პირადად მე ასე შევფასე, მაგალითად, „პრავდაში“ დაბეჭდილი მოკლე ცნობა სსრ კავშირის „ნავთობპროდუქტსახკომის“ თავმჯდომარის ტ. ხურამშინის შესახებ, რომელიც თანამდებობიდან მოხსნეს და პარტიიდან გარიცხეს. მე, მუშას, მრცხვენია, ამ ეგრეთ წოდებული ხელმძღვანელების მაგივრად. ისინი მკაცრად, საჯარო სასამართლოთი უნდა დაისაჯონ, რადგან უდიდეს ზიანს გვაყენებენ არა მარტო მატერიალური, არამედ ზნეობრივი თვალსაზრისითაც, — ხალხი ხომ ხშირად მთელ პარტიაზე მისი ცალკეული წარმომადგენლების ქცევის მიხედვით მსჯელობს“.

ასეთივე აზრისანი არიან „პრავდის“ სხვა მკითხველებიც, რომელთა წერილებში ნათქვამია, რომ ჩვენი ცხოვრებიდან უნდა ამოძირკვოს ბიუროკრატიზმის, სამსახურებრივი მტგომარეობის ბოროტად გამოყენების, ნათლიმამობის, სახელმწიფო ხარჯზე „ხელგაშლილად“ ცხოვრების შანსის შხამანი ფესვები. პარტია მხოლოდ განმტკიცდება, თუ გაწმინდავს თავის რიგებს შიგ მოკალთებული არამზადებისა და უსაქმურებისგან. „მ. ს. გორბაჩოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, — აღნიშნავს ლენინგრადელი მ. ბაჟანოვი, — მთელ ჩვენს კადრებს შანსი მიეცათ გაუგონ მომენტის მოთხოვნას და გარდაიქმნენ. ვინც ვერ შეძლებს ან არ მოისურვებს ამას — დაე წავიდეს“.

„მე ისეთი აზრი შემექმნა, — წერს ტულის ოლქის შჩეკინოს საწარმოო გაერთიანების „აზოტის“ მუშა ვ. ივანოვი, — რომ ცენტრალურ კომიტეტსა და მუშათა კლასს შორის ჯერ კიდევ ბოგინების ზანტი, ინერტული და დაჭკობებული „პარტიულ-ადმინისტრაციული ფენა“, რომელიც მაინცდამაინც რადიკალური ცვლილებებს მოსურნე არ არის. ზოგ-ზოგებს მხოლოდ პარტბილეთი უდევთ ჯიბეში, კომუნისტები კი უკვე დიდი ხანია აღარ არიან. პარტიისაგან ისინი მხოლოდ პრივილეგიებს გამოელიან, თვითონ კი მაინცდამაინც არ ეშურებათ ხალხს შეალიონ თავიანთი ძალ-ღონე თუ ცოდნა“.

1940 წლიდან კომუნისტი, ყაზანელი ნ. ნიკოლაევი გვწერს: „როცა სოციალურ სამართლიანობაზე ვმსჯელობთ, თვალს ვერ დავხუჭავთ იმაზე, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო და თვით კომკავშირული ხელმძღვანელებიც კი ხშირად ობიექტურად აღრმავებენ სოციალურ უთანასწორობას, როცა სარგებლობენ სხვადასხვაგვარი სპეცბუფეტებით, სპეცმაღაზიებით, სპეცსაავადმყოფოებით და ა. შ. დიახ, ჩვენში სოციალიზმია, და ყოველი კაცი შრომის მიხედვით უნდა იღებდეს ანაზღაურებას. მაშ, დაე იყოს ასე, გათანაბრების გარეშე: ხელმძღვანელს მეტი ხელფასი აქვს ფულადი გამონატეულებით. მაგრამ სხვა მხრივ პრივილეგიები არ უნდა იყოს. დაე უფროსმა სხვებთან ერთად იაროს ჩვეულებრივ მაღაზიაში, და, როგორც ყველა, ჩადგეს რიგში — ვინ იცის, იქნებ მაშინ უფრო მალე მოისპოს რიგები, რომელმაც ყველას მოაბეზრა თავი. ოღონდ, ეს კი, ძნელი საფიქრებელია, რომ „საგანგებო სიკეთით მოსარგებლენი“ თვითონ იტყვიან უარს თავიანთ პრივილეგიაზე, აქ საჭიროა კანონი და აპარატის საფუძვლიანი გაწმენდა“. 1919 წლიდან სკკპ წევრი, მოსკოველი ბ. ალექსეევი ასეთივე აზრისაა: „როგორც ძველ ბოლშევიკს, მიმაჩნია: „ჩვენს პარტიაში უნდა აღვადგინოთ კანონი პერიოდული წმენდის შესახებ“.

პარტია ამჟამად უდიდეს მუშაობას ეწევა, მათ შორის თავისი რიგების განსაწმენდადაც. მიმდინარეობს ბრძოლა, არამედ სწორედ განწმენდა. მასობრივ წმენდაზე დიდი ხანია უარი ვთქვეთ და საკმაოდ დასაბუთებული მიზეზებითაც, რომლებიც დაწვრილებით არის ჩამოყალიბებული სკკ (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციებში. უკვე მაშინ სრულიად სამართლიანად და დასაბუთებულად ვაღიარეთ, რომ საჭიროა მკაცრად ინდივიდუალურად მივუდგეთ პარტიის წევრობის საკითხის გადაწყვეტას. ასეთი შიდგომა დღესაც საჭიროა.

„უფრო ფხიზლად, გულმოდგინედ უნდა შევიხედოთ ყოველი კაცი, რომელსაც პარტიაში განცხადება შემოაქვს, მაშინ საჭირო აღარ გახდება ცრუკომუნისტების გამოყრა, გვწერენ ორიოლიდან ძმები გ. და ნ. შაროვები — მაგრამ ხშირად პარტიაში მიღება მეტისმეტად „გაფორმალურებულია“. ზოგიერთ დაწესებულებაში მრავალწლიანი რიგებიც კი გაჩნდა. რას გამოელიან ამ უცნაურ რიგში ჩამდგარნი? ხომ არ არსებობს რაიმე პრივილეგიები, რომლებსაც ახლა ასე გადაჭრით ვამბობთ? რიგი პარტიაში შესვლაზე — აბსურდია! პარტია ხომ უნივერმაღი არ არის, იგი ძლიერია არა საწევროს შემტანთა რიცხვით, არამედ თავისი იდეოლოგიითა და რიგების სიმტკიცით“.

„პარტიის ხაზით ძალზე ლმობიერად მოჰკოთხავენ ხოლმე დამნაშავე ადამიანებს, — მიაჩნია კამჩატკის პეტროპავლოვსკის მცხოვრებს ა. ოტტიუკს. — კაცი იმისთანა რამეს დააშავებს, კიბისკვრით უნდა გააგდო პარტიიდან, ჩვენ კი — „მიეცეს შენიშვნაო“, „მიეთითოსო“, „საყვედური გამოეცხადოსო“. მერედა, ვინ არ იცის, რომ ერთი წლის შემდეგ ამ საყვედურის ქაღალიც კი გაქრება! არა, ეს ლაჟი ლიბერალიზმი ისეთ პარტიაში, როგორიც ჩვენია, შეუფერებელია, როცა ყველას მიმართ, კეთილობანას თამაშობ, ეს შენი სისუსტის მაჩვენებელია“.

„ყველგან და ყოველთვის როდი ვიყენებთ აღზრდის ისეთ ქმედითს საშუალებას, როგორიც არის საჯაროობა, აღნიშნავენ მკითხველები. ვ. ი. ლენინი მას უწოდებდა მახვილს, რომელიც თვითონ ჟონავს ხის მიერვე მიყენებულ ჭრილობებს. მაგრამ ბევრ კომუნისტს კი ჰყოფნის ვაკაცობა, ნამდვილად გამოიყენონ ეს „განმკურნავი მახვილი?“ აი, რას გვწერს მოსკოვის ოლქის კრასნოგორსკიდან ა. ტერეზოვი: „ადგილობრივ გაზეთში წავიკითხე ცნობა: პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა მეორე მდივნის მოვალეობისგან გაათავისუფლა ი. ვოროსცოვი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო. ასეთი ბუნდოვანი ფორმულირება ნაირ-ნაირი მითქმა-მოთქმისა და ჭორაობის საბაბს იძლევა. უფრო გარკვეულად უნდა დაიწეროს და მიზეზებიც მიეთითოს“.

ამასვე ეხება ე. მოროზოვის წერილი ზეკისპირეთის მხარის უსურიისკიდან. იქ საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციამდე რამდენიმე დღით ადრე საქალაქო კომიტეტის პლენუმმა თანამდებობიდან გაათავისუფლა პირველი და მეორე მდივნები ვ. ვედერნიკოვი და ვ. კრავცოვი. იკითხავთ: რატომაო? სხვა სამუშაოზე გადასვლას ნიშნავს? ზემოთ? ქვემოთ? ეს არავინ იცის, და სწორედ ამიტომ ვრცელდება ჭორები. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი დ. გაგარინი. მას მაინც ხომ შეეძლო აეხსნა, თუ რატომ გაათავისუფლეს თანამდებობიდან ქალაქის პარტიული ხელმძღვანელები, მაგრამ არ აგვიხსნა.

თუ არ შევდრკებით და პირდაპირ ვიტყვით თუნდაც მწარე და ძნელად სათქმელ სიმართლეს, ვისწავლით, უცილობლად და უთუოდ ვისწავლით ყველა და ყოველი სიძნელის დამარცხებას — ლენინის ეს აზრი ბევრ ავტორს მოჰყავს. იმათაც, ვინც ფართო საჯაროობას ქადაგებს. და იმათაც, ვინც კრიტიკის უფლებას მოითხოვს.

კრიტიკა და თვითკრიტიკა პარტიის ბასრი, ნაკადი იარაღია. ამას გვწერენ გომელელი ნ. შიროვი, ვილნიუსელი გ. კურბონისი და სხვა მკითხველები. სარატოველი ა. კარაგოდინი შეგვახსენებს ვ. ი. ლენინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ სოციალიზმის მშენებლობა — ეს არის კრიტიკის გამოყენება და მისი შინაარსი, რადგან კრიტიკა საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. კრიტიკის გარეშე წარმოუდგენელია პარტიის რიგების ჯანსაღი განწმენდა.

ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, ყველაფერი უფრო რთულია. ბევრი სწერს „პრავდას“, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი ხმალამოღებული ხვდება ხელქვეითთა ყოველგვარ შენიშვნას, არ სურს ყურად იღოს კოლექტივის აზრი, ზოგჯერ კრიტიკასაც კი ახშობს, კრიტიკული გამოსვლისათვის შურისძიებასაც კი კადრულობს. ამას გვწერენ დუშანბელი ა. ინიუტინი, ბაქოელი გ. მინიბაევი და ხაბაროვსკელი გ. გუბანოვი.

— „ეს პირველ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით კრიტიკის ჩახშობაში და კრიტიკისათვის დევნაში, მკაცრი პარტიული პასუხი უნდა მოეთხოვოთ და შეიძლება სკკპ რიგებიდანაც კი გაირიცხონ“. მკითხველები იწონებენ სკკპ წესდების ცვლილებების პროექტის ამ პუნქტს და ამასთანავე აღნიშნავენ, რომ კრიტიკის ჩახშობისათვის მკაცრ სასჯელს უაღრესად იშვიათად მიმართავენ, საჭირო კია, რომ ეს ნორმად იქცეს.

თუ ლენინურად ვიცხოვრებთ და ვიმუშაავებთ, თუ გასაქანს არ მივცემთ ჩვენი მორალის ნორმების დამრღვევეთ, აუცილებლად ვისწავლით ყველა და ყოველი სიძნელის დამარცხებას, სწერენ „პრავდას“ კომუნისტებიც და უპარტიოებიც. „ჩვენ გვწამს ჩვენი პარტია, გვაქვს მისი იმედი, მაშ, დაე მასაც ყოველთვის სწამდეს ჩვენი და ჰქონდეს ჩვენი იმედი, გულახდილად და პირდაპირ გველაპარაკოს ყველაფერზე. ხალხი გაუჭვეთ და მხარს დაუჭერს“. გვინდა კრასნოიარსკელი ი. ნასიბოვის ამ სიტყვებით დავამთავროთ მკითხველთა ფოსტის მიმოხილვა.

ტ. სამოლისი.

„პრავდა“. 1986 წ. 13/II.

თბილისის საშენ მასალათა კომბინატში მთლიანად გამოირიცხა საწარმოო ტრავმატიზმი. აქ წარმატებით შესრულდა წარმოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის, მუშაკთა შრომის პირობების გაუმჯობესების ხუთწლიანი კომპლექსური პროგრამა, რომელიც შეიმუშავა საწარმოს პროფკავშირულმა კომიტეტმა საკავშირო პროფსაბჭოს თბილისის შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებთან ერთად.

ამ პროგრამის შესაბამისად საწარმოში აღმოფხვრილია როგორც საშიში, ისე მავნე საწარმოო ფაქტორები. კერძოდ, ახალ კეთილმოწყობილ შენობაში „გადავიდა“ კერამიკული საამქრო, დამთავრდა მოზაიკური ფილების წარმოებაში ყველა შრომატევადი პროცესის ავტომატიზაცია და მექანიზაცია. პროფკავშირული აქტივისტების ინიციატივით რეკონსტრუირებულია ბროლის საამქრო, განახლებულია სავენტილაციო სისტემები. მთლიანად აღმოიფხვრა საწარმოო ხმაურიც: საამქროებში კედლები დაიფარა სპეციალური ბგერთასიაზოლაციო მასალებით. კომბინატის მუშა-მოსამსახურეებისათვის მოქმედებს ფსიქოლოგიური განტვირთვის ცენტრი.

— საშენ მასალათა კომბინატის მაგალითი, — თქვა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ **თ. ი. ბოსაშვილმა,** — თვალსაჩინოდ მოწმობს შრომის დაცვის საკითხთა გადაწყვეტისადმი სისტემური მიდგომის უპირატესობებს. ყურადსაღებია ამ მიმართულებით მთელი რიგი სხვა შრომითი კოლექტივების მუშაობის გამოცდილება — თბილისის ცხიმკომბინატის, ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“, საწარმოო გაერთიანება „თბილისრძის“, ლილოს ნავთობგადამმუშავებელი სამმართველოსი და სხვების.



ტექნიკა სოფლისათვის

ცხინვალის ელექტროძრავებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ელექტრომოწყობილობის შეკეთების სპეციალიზებული საწარმო თავისი შექმნის პირველი დღიდანვე გრაფიკის გასწრებით მუშაობს.

მისი კოლექტივი, რომელიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური სპეციალისტებით, უდიდეს დახმარებას უწევს სოფლის მშრომელებს. საწარმოს ბიშკრიდან ყოველდღე გამოდის 100 კილოვატზე მეტი სიმძლავრის ელექტროძრავები, ჩასაძირი ელექტროტუმბოები, ავტოსატრანსპორტო ელექტრომოწყობილობა, ელექტროშესადუღებელი აპარატურა.

მარტო წლიულს აქ შეასრულებენ 850 ათას მანეთზე მეტი ღირებულების სარემონტო სამუშაოს. ეს არის ასობით სასოფლო-სამეურნეო მანქანა, რომელთა მოცდენა მინიმუმამდეა შემცირებული.

სურათზე: ელექტროძრავების ჩამწყობები ბადრი ჯამბაზიშვილი და ნიკოლოზ ძერანოვი.

ლ. გუსოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

— **პატივცემულო თეიმურაზ, სსრ კავშირის კონსტიტუციის 21-ე მუხლში წერია: „სახელმწიფო ზრუნავს შრომის დაცვასა და პირობებს გაუმჯობესებისათვის. მისი მეცნიერული ორგანიზაციისათვის, მძიმე ფიზიკური შრომის შემცირებისა, მერე კი მისი მთლიანად განდევნისათვის სახალხო მეურნეობის უველა დარგში საწარმოო პროცესთა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველზე“. რამდენად სრულად ახორციელებენ ჩვენს რესპუბლიკაში ამ კონსტიტუციურ მოთხოვნას სამეურნეო და პროფკავშირული ხელმძღვანელები?**

— ეს მოთხოვნები ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამის შემადგენელი ნაწილია და მათ დიდი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვთ. ადამიანთა შრომის პირობების ყოველმხრივი სრულყოფის, მისი დაცვის აუცილებლობას განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე. ბოლო წლებში რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნისათვის, საწარმოო ტრავმატიზმის შემცირებისათვის. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებით დაწესებულია რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის დათვალიერებების ყოველმხრივი სრულყოფის, ამ საქმეში ეკონომიკური ინტერესების ეფექტურობის ამაღლების ამოცანებს, ეკონომიკურ ეფექტებს, აქ რესპუბლიკური მაჩვენებლები საშუალო საკავშირო მაჩვენებლებსაც კი სჯობია.

— **და მაინც ეს არ იძლევა თვითდამშვიდების უფლებას...**

— არავითარ შემთხვევაში. მთა უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ. სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში არადამაკმაყოფილებელ საქმის ვითარებას. ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია წარმოებები, სადაც, მაგალითად, ჰაერის გაჭუჭყიანება, გარემოს დაგაზიანება, ხმაურისა და ვიბრაციის დონე სჭარბობს დადგენილ ნორმებს. არ არის უზრუნველყოფილი საჭირო განათება და მიკროკლიმატი სამუშაო ადგილებზე. ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი ჯიუტად ივიწყებს, რომ საჭიროა საწარმოო პროცესების, განსაკუთრებით დამხმარე და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაცია. სხვა რითი უნდა აიხსნას საწარმოო ტრავმატიზმის მაღალი დონე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში, მეტალურგიულ, სამთამადნო და ენერგეტიკულ მრეწველობაში, საავტომობილო და რკინიგზის ტრანსპორტზე.

ანალიზი ცხადყოფს, რომ წარმოებაში ტრავმის ძირითადი მიზეზებია ტექნოლოგიური პროცესების არასრულყოფილი მდგომარეობა ან დარღვევა, მანქანების, მოწყობილობის გაუმართობა, სამუშაო ადგილების მოუვლელობა, ნაკლოვანებანი შრომის უსაფრთხო ხერხების სწავლებაში.

— სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში ხაზგასმულია, რომ კვლავაც „თანამდევრულად განხორციელდება კურსი, რომელიც ითვალისწინებს ჯანსაღ სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებს უზრუნველყოფასა და სრულყოფილ სამეცნიერო ტექნიკის დანერგვას...“ ესეც ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, შრომის დაცვის დარგში რა საჭირბოროტო პრობლემებია ჩვენს რესპუბლიკაში?

— დღის წესრიგშია იმის აუცილებლობა, კომპლექსურად მივუდგეთ ამ საკითხებს და გავაუმჯობესოთ მათი კოორდინაცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დავნერგოთ შრომის დაცვის მართვის ზუსტი სისტემა, რაც, ბუნებრივია, მოითხოვს შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ გადაწყვეტებს, გარკვეულ ფინანსურ ხარჯებს.

მაგალითად, ბევრად გასაუმჯობესებელია სპეცტანსაცმლის ნარისხი, რომელსაც ამზადებენ რესპუბლიკის მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები. ბევრია ისეთი ქარხანა და ფაბრიკა, სადაც ჯერ კიდევ მოუგვარებელია ასეთი ტანსაცმლის ქიმწმენდა და რეცხვა, არ არის შექმნილი მისი შენახვის პირობები. მუშებს ხშირად აძლევენ შრომის კონკრეტული პირობების შეუსაბამო სპეცტანსაცმელსა და სპეციფეხსაცმელს. ყოველთვის არ ითვალისწინებენ ქალების ინტერესებს.

ყოველივე ეს ჩვენი პრობლემების არასრული ნუსხაა. გასაგებია, რომ მათი გადაჭრა ადვილი არ არის, მაგრამ საჭიროა, თანაც დაუყოვნებლივ. ამიტომ ჩვენ ყველამ, პროფკავშირულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმაც უფრო მიზანმიმართულად უნდა ავაგოთ მუშაობა შრომის უსაფრთხოების სისტემის სტანდარტების საფუძველზე. ამ თვალსაზრისით არიან ისეთები, ვისგანაც უნდა ვისწავლოთ. ქვეყანაში არის რამდენიმე, უკვე კარგად გამოკვლილი შრომის დაცვის მართვის სისტემა, მაგალითად, სარატოვის სისტემა „ნიტრონი“, ლვოვის გამოკვლევება და სხვები. საგულდაგულოდ უნდა შევისწავლოთ ისინი, შემოქმედებითად მივუდგეთ მათს დანერგვას. პროფკავშირის კომიტეტებმა, თითოეულმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ გადაჭრით უნდა უკუაგდოს შრომის უსაფრთხოების საკითხებში ხელმძღვანელობის ავარიული მეთოდები, უფრო გაბედულად და მტკიცედ მოჰკიდოს ხელი შრომის დაცვის მართვის პროგრესული სისტემების ყველგან დანერგვას. ამას გვისახავენ მიზნად სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი, პარტიის საყრილობო დოკუმენტების დებულებანი.

საუბარი ჩაიწერა

ზ. გრძელიშვილმა.

მეორეული კაცის ინტერესებისათვის

„ხალხი და ტრადიცია“

„კომუნისტს“ უპასუხებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე

ამ რამდენიმე ხნის წინათ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ჩიტაიას, წევრ-კორესპონდენტ ა. რობაქიძისა და პროფესორ მ. კეკელიას წერილი „ხალხი და ტრადიცია“.

წერილში დასაბუთებულია რესპუბლიკაში ქართული ჩვეულებითი სამართლის შემმწყვალელი სამეცნიერო უჯრედის შექმნის აუცილებლობა.

„სამეცნიერო ჯგუფმა“ უნდა უზრუნველყოს მოსპობის გზაზე დამდგარი ჩვეულებითი სამართლის მასალათა მოპოვება და მათი მეცნიერული შესწავლა. ამ ხასიათის სამუშაოთა შესრულებას არა მარტო დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება ზოგიერთი მავნე ხასიათის ჩვეულების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებს, შრომის ტექნიკურ ინსპექციებს, მათთან ერთად ფართო აქტივი ქმედითად მონაწილეობენ ამ დათვალიერებებში, განუწყვეტელ აკონტროლებენ კოლექტიური ხელშეკრულებების, შრომის დაცვის უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმებების შესრულების მიმდინარეობას. კერძოდ, ხუთწლიანი კომპლექსური გეგმების წარმატებული რეალიზაციის შედეგად გასულ ხუთწლედში არასასკეთო და მავნე პირობებისაგან, აგრეთვე ძმიმე ხელის შრომისაგან გამოთავისუფლებულია 330 ათასი მუშა, მათ შორის 155 ათასი ქალი. აშენდა ახალი და გაფართოვდა არსებული სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო ოთახები, საშხაპეები, ქალების ბარადი ჰიგიენის ოთახები. რაც შეეხება საწარმოო ტრავმატიზმის ტენდენციებს, ბოლო ოცეული წლის მანძილზე ეს ფენომენი ეფექტურად ებრძოლა ... ...

ფაქტები • მოვლენები ეროვნული ბიბლიოთეკა

გიყვარდეს შენი ქალაქი

მოსწავლეთა ინიციატივის კვალდაკვალ

შენი ქალაქი სახლია შენი, ოჯახია შენი. მისი სილამაზე, კეთილმოწყობა ბევრად არის დამოკიდებული თითოეულ ჩვენგანზე. ვის არ უნდა, ცხოვრობდეს განიერი ეზოებითა და სკვერებით დამშვენებულ სუფთა, მშვენიერ ქალაქში. თუკი გინდა ლამაზ ქალაქში ცხოვრობდე, მის კეთილმოწყობაშიც უნდა მიიღო მონაწილეობა.

ბათუმს ედემის ბაღს, საქართველოს ზღვისპირეთის ჭიშკარს უწოდებენ, ნამდვილად თვალწარმტაცია ქათქათა პლაჟი, ლარივით გაჭიმული ქუჩები, თუმცა ყველგან ასე როდია. ვაშენებთ ახალ მიკრორაიონებს, ახალ უბნებს, ძველ ბათუმს — პუშკინის ქუჩის გადაღმა მხარეს კი დიდი არაფერი დასტყობია.

სად არის გამოსავალი?

მთავარია, საქმეს გულდაგულ მოვკიდოთ ხელი, მხარი ავუბათ ფოთელთა ინიციატივას.

ბამბუკ-ავეჯის ქარხნის მიკრორაიონი ისეთ მდგომარეობაშია იყო, მანქანით გავლაც ჭირდა. ქარხნის დირექციამ თავად მრჭკიდა ამ საქმეს ხელი. ახლა იქ ისეთი განიერი მოასფალტებული ქუჩაა, თვალსაც უხარია და გულსაც. ქალაქში ოცდაათამდე მსხვილი საწარმოა და ამდენივე დაწესებულება, რომელთაც ქალაქის კეთილმოსაწყობად სოლიდური სახსრების გამოყოფა შუძლიათ, მაგრამ ზოგიერთი რატომღაც თავს არ იწუხებს.

შარშან შემოდგომაზე ბათუმის ინდუსტიალური ტექნიკუმის პედაგოგიურმა კოლექტივმა და მოსწავლეებმა შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინეს. ჯერ იყო და, ტექნიკუმის შემოგარეს მოუარეს, შემდეგ ვალდებულება იკისრეს შუმიანის ჭეჩა, რომელიც ქალაქს გარეუბანთან აკავშირებს და რომელზეც ავტომანქანების ინტენსიური მოძრაობაა, გეგმწვანეებით და კეთილმოეწყოთ. საამისოდ შექმნეს ბრიგადები, გამწვანების ტრესტიდან მოზიდეს ნერგები და ხეები. თითოეული ნერგი შიუჩინეს მოსწავლეებს, ჭეჩა გაწმინდეს ქვა-ღორღისაგან და შესაკეთებლად მოამზადეს.

ურიგო არ იქნება, ტექნიკუმელთა თაოსნობას მარტო სასწავლო ორგანიზაციებმა კი არ აუბან მხარი, არამედ ქალაქის კეთილმოწყობაში ყოველი საწარმო, ყოველი დაწესებულება მონაწილეობდეს.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

პარტიულ, პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მთავარი არქიტექტორულ-დაგეგმარების ინსპექტორ ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ბუბუტა დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

არქიტექტურის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ბოლოკაძე,

ჩვენი სასახელო მასწავლებელი და მეცნიერი

მახლოდ ბედნიერი ადამიანის ხვედრია, რომ სიცოცხლის 85 წლიდან 65 მეცნიერების, შრომელი ქვეყნის სამსახურში გაატაროს. სწორედ ასეთი ცხოვრების გზა განვლო დღემდე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ლევან ყანჩაველმა. თანაც, ეს 65 წელი გახლავთ საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეცნიერებათა დარგის — მცენარეთა დაცვის საქმის აღორძინებისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი ხანა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ლ. ყანჩაველის სახელთან.

მომავალმა სწავლულმა მეცნიერებაში პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გადადგა, როცა სწავლის პარალელურად მუშაობას შეუდგა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრაზე. შემდეგ კი, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, დაიწყო მუშაობა თბილისის ბოტანიკურ ბაღში, მიკოლოგიისა და ფიტოპათოლოგიის ლაბორატორიაში.

სწორედ ამ ლაბორატორიის ბაზაზე ჩამოყალიბდა ჯერ ფიტოპათოლოგიის ცენტრალური სადგური, შემდეგ კი მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი. აქ ლევან ყანჩაველმა განვლო ყველა საფეხური, — პრეპარატორიდან ინსტიტუტის დირექტორამდე, რად ღირს მარტო ის ფაქტი, რომ მეცნიერი ინსტიტუტს თითქმის მთელი ხუთი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა!

უპირველეს ყოვლისა, მისი ორგანიზატორული და შემოქმედებითი მუშაობის შედეგად მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი გადაიქცა წამყვან სამეცნიერო ცენტრად, რომელმაც ჭეშმარიტი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ლ. ყანჩაველის უშუალო ხელმძღვანელობით აქ შეიქმნა თანამედროვე მეცნიერების ისეთი მიმართულების ლაბორატორიები, როგორიცაა ბიოფიზიკის, მცენარეთა იმუნიტეტის, ბიომეთოდის, ჰერბიციდების, მექანიზაციისა და სხვა. ისინი წარმატებით წყვეტენ მცენარეთა დაცვის აქტუალურ პრობლემებს.

ამაგდარ მეცნიერს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის სოფლის მეურნეობის კულტურების დაავადებათა შესწავლაში. ძნელად რომ იყოს ისეთი კულტურა, რომელთა დაავადებანი მას უშუალოდ არ შეესწავლოს ან ამ საქმისათვის არ ეხელმძღვანელოს. კერძოდ, ეს თქმის ვაზის, ციტრუსების, ხეხილის, გერანის, ტუნგის დაავადებებზე, რომელთა შესწავლის საფუძველზე მიღებულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობის უაღრესად საყურადღებო დასკვნები.

როდესაც ბორჯომის თვალწარმტაც ხეობაში ნაძვის დიდი ლაფნიჭამია გაჩნდა, ლ. ყანჩაველმა ინსტიტუტში ჩამოაყალიბა ტყის დაცვის განყოფილება, რომელმაც უშუალოდ ამ საკითხის შესწავლას მოჰკიდა ხელი და, თუ დღეს ბორჯომის ხეობაში ნაძვის კორომები კვლავ შრიალებენ, ამაშიც დიდად ფასეული წვლილი აქვს შეტანილი ჩვენს ღვაწლმოსილ სწავლულს.

ლ. ყანჩაველმა დიდი შრომა გასწია საჭოლისა და ცხენის ტოქსიკოზის მიზეზების დასადგენად. 1943-44 წლებში მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა და დაინერგა წარმოებაში სოფლის მეურნეობის და ტყის კულტურების ზავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ უხვი და ხარისხიანი მოსავლის მიღებაში.

ლ. ყანჩაველის ნაშრომებში ფართოდაა წარმოდგენილი საქართველოს კულტურულ და ველურ მცენარეთა მიკოფლორის სახეობრივი შედგენილობა. აღწერილია მეცნიერებისათვის და საქართველოს მიკოფლორისათვის მრავალი ახალი გვარები და სახეობები. კერძოდ, მათში შევიდა მეტად მდიდარი მასალა ხავსურეთის, ქლუხორის, სვანეთის, ოსეთის მიკოფლორის შედგენილობაზე. ქართველი მეცნიერის მიერ შეტანილი კორექტივები ციტრუსების ხმელას — მალსეკოს სოკოსი და ბატატის ავანური სიდამპლის სოკოს გამომწვევ მიზეზებზე მსოფლიოშია აღიარებული.

ლევან ყანჩაველის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი მხარეა მისი პედაგოგიური საქმიანობა. იგი ბოტანიკისა და ფიტოპათოლოგიის კურსს კითხულობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დიდხანს ასწავლიდა სტუდენტებს ამ საგანს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტებში.

მომავალ სპეციალისტებს ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ფიტოპათოლოგიის სახელმძღვანელოები, რომელთა ავტორია ლევან ყანჩაველი. მან პირველად 1931 წელს შეადგინა ქართულ ენაზე სახელმძღვანელო „ფიტოპათოლოგია“, ხოლო 1942-45 წლებში — სასოფლო-სამეურნეო კულტურების და ტყის ჯიშების ავადმყოფობათა ორტომეული. 1978 წელს გამოსცა წიგნი „ზოგადი ფიტოპათოლოგია“, რომლის მეორე ტომი ამჟამად იბეჭდება.

ამ სახელმძღვანელოებით გაიზარდა ფიტოპათოლოგებისა და აგრონომების მთელი თაობები.

სახელოვანი მეცნიერის მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცეს პარტიამ და მთავრობამ. იგი დაჯილდობულია 2 ლენინის ორდენით, სპატარო ნიშნისა და „ხალხთა მეგობრობის“ ორდენებით, მედლებით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით...

ლევან ყანჩაველისათვის დამახასიათებელია ჭკვევრის საუკეთესო თვისებები, თანამშრომლებთან, მოწაფეებთან კეთილი განწყობილება, სულიერი სითბო, მასალის გადმოცემის ხელოვნება, რამაც საერთო აღიარება, სიყვარული, პატივისცემა და დიდი ავტორიტეტი მოუტანა.

საქართველოში ძნელად რომ ნახოთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, ოომელისთვისაც ლ. ყანჩაველს თავისი რჩევა-დარიგებით დახმარება არ გაეწიოს და სწორი გზა არ მიეცეს. ამიტომაც არის, რომ იგი ყველასათვის ძვირფასი და საყვარელი პიროვნებაა, ამიტომაც სულითა და გულით ულოცავენ ღირსსახსოვარ საიუბილეო თარიღს და უსურვებენ ახალ შემოქმედებითს გამარჯვებებს.

ი. შავლიაშვილი,
მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორი;

თ. წაქაძე,
ფიტოპათოლოგიის განყოფილების გამგე, პროფესორი.

საქმეს წაახდენს რეგვენი, ფათერაკს დააბრალებსა

საქართველოს ზღვისპირეთში

აყვავდა მიმოზა

თებერვალი დადგა, აჭარის ზღვისპირა ზონის ბაღებსა და პარკებში აყვავდა მიმოზა — გაზაფხულის მაუწყებელი.

სურათზე: ნორჩი ბათუმელები მარინე და ალიოშა გოგოლაშვილები აყვავებულ მიმოზასთან.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კინოფესტივალის გახსნაზე

ქართული ... კინოხელოვნების ... ფუქმედებელი ... ...